აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

"სტრატეგიული კომუნიკაციის" სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი კომპონენტები დალაგებულია თანმიმდევრულად და ლოგიკურად. სამაგისტრო პროგრამის 120 კრედიტი სტრუქტურირებულია შემდეგნაირად: სავალდებულო კურსები/კომპონენტები ძირითად სფეროში 58 ECTS; სავალდებულო კვლევითი კომპონენტი 42 ECTS; არჩევითი კურსები ძირითად სფეროში 15 ECTS; თავისუფალი კომპონენტი 5 ECTS. პროგრამის მთავარი მახასიათებელია პრაქტიკულ გამოცდილებაზე აქცენტი, რაც მოიცავს ცალკეულ კურსებში ინტეგრირებულ პრაქტიკას და 10 ECTS-იან სტაჟირებას სტუდენტის მიერ შერჩეულ დაწესებულებაში. პროგრამა სრულდება 30 ECTS-იანი სამაგისტრო ნაშრომით, რომელიც

წარმოადგენს სტრატეგიული კომუნიკაციის მაგისტრის კვალიფიკაციის მინიჭების აუცილებელ პირობას. პროგრამის შესახებ ყველა ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და მასში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსი;
- კურიკულუმის რუკა;
- გარე ექსპერტების დასკვნა;
- ვებსაიტი;
- გასაუბრებები პროგრამის ხელმძღვანელებთან, პერსონალთან.

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რეკომენდაციები არ არის.

კლასტერის ზოგადი რჩევები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რჩევები არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

შეფასება

კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შეესაბამება მოთხოვნებს	მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	x			
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)	x			

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერისა და თითოეული კურსის სწავლის შედეგების შემუშავებისას, პროგრამის სამუშაო ჯგუფმა პერსონალთან ერთად იხელმძღვანელა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს სახელმძღვანელო პრინციპებით, კომპეტენციების აღწერილობებითა და უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლებით. კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს, ხოლო თითოეული პროგრამის სავალდებულო კომპონენტის შედეგები ინტეგრირებულია პროგრამის საერთო შედეგებში და შეესაბამება შინაარსს.

თითოეული პროგრამისთვის შექმნილია კურიკულუმის რუკები, რომლებიც აჩვენებს კავშირს კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის. თითოეული კურსის კრედიტების მოცულობა და შესაბამისი საათები განსაზღვრულია კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების საფუძველზე. სილაბუსებში მკაფიოდ არის გაწერილი საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები, შესაბამისი ბალანსით, კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. ქართულ ენაზე თანამედროვე ლიტერატურის არარსებობის შემთხვევაში ლექტორებმა შემოგვთავაზეს ინგლისურენოვანი ლიტერატურა, ამასთან, ლექტორი ასევე ადგენს და ქმნის სასწავლო მასალებს ქართულ ენაზე.

კლასტერის ფარგლებში შეთავაზებული კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის საერთო სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების

აღჭურვას საჭირო ცოდნითა და კომპეტენციებით. ეს შედეგები ორიენტირებულია პრაქტიკულ უნარებზე და ამზადებს სტუდენტებს როგორც პროფესიული საქმიანობისთვის, ასევე უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამის კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, როგორც სავალდებულო და სავალდებულო-არჩევითი სასწავლო კურსების გათვალისწინებით, ასევე არჩევითი კურსებისა და საბაკალავრო ნაშრომის ჩათვლით. თითოეული კურსის როგორც შინაარსი, ისე კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კონკრეტული კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. საკონტაქტო და დამოუკიდებელი სწავლის საათებს შორის თანაფარდობა მისაღებია და შეესაბამება სასწავლო კურსის სპეციფიკას.

სილაბუსებში ლიტერატურა მეტწილად თანამედროვე და რელევანტურია, თუმცა ბიბლიოთეკაში ფიზიკური სახელმძღვანელოები ძალიან მწირია. უნივერსიტეტი მხარს უჭერს ელექტრონული წიგნებისა და ონლაინ მასალების გამოყენებას, თუმცა გამოკითხულმა სტუდენტებმა განაცხადეს, რომ გამოცდების ჩასაბარებლად სახელმძღვანელოების გამოყენება არ სჭირდებათ - მასწავლებლების მიერ მოწოდებული მასალები საკმარისია. სავალდებულო ლიტერატურა ზოგიერთ სილაბუსებში მოძველებულია, როგორცაა მაგალითად: საინფორმაციო ტექნოლოგიები, საინფორმაციო ტექნოლოგიების სერვისების მართვა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საფუძვლები. ახალი ტექნოლოგიები და ბიზნეს გარემოში სწრაფი ცვლილებები მოითხოვს განახლებულ ლიტერატურას. კურსში ლიდერობის საფუძვლები სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობა (21) გადაჭარბებულია. არ არის ნათელი, თუ რომელი ლიტერატურაა შეთავაზებული დამატებით ლიტერატურად კურსში რეკლამა და სოციალური მედია, რადგან აღწერილობები არ არის სრული (Chuck Hemann & Ken Burbary 2018 Pearson Education, Inc – Ryan Deiss & Russ Henneberry 2017 John Wiley & Sons, Inc). პროგრამების კურიკულუმებში არ არის რესურსების ჩაწერის ერთიანი სტილი. ზოგან გამოყენებულია ჩიკაგოს სტილის ციტირება, სხვაგან APA ან უბრალოდ ვებგვერდის ბმული, მხოლოდ ავტორების სახელები და გამომცემლობა და ა.შ.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

პროგრამების კურსების შინაარსი უზრუნველყოფს კურსების დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. კურსებისთვის მინიჭებული ECTS კრედიტების რაოდენობა შესაბამისია და საქართველოსა და სხვა ქვეყნების მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების მსგავსად არის განაწილებული. ექსპერტთა შეფასებით, ძირითადი სწავლის სფეროს კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო მასალები ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ექსპერტებისთვის წარდგენილ ზოგიერთ სილაბუსში (სტრატეგიული მენეჯმენტი, მარკეტინგული კომუნიკაციის სტრატეგია და ციფრული ტექნოლოგიების სტრატეგიული მართვა) მითითებული სავალდებულო ლიტერატურა მოძველებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სახელმძღვანელოები და ბიბლიოთეკის ციფრული ფონდი;
- სასწავლო პროცესის რეგულირება;
- საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები;
- საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმის რუკები;
- სასწავლო კურსის/საგნის სწავლის შედეგების შეფასების შედეგები.

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:

რეკომენდებულია სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა რეგულარულად გადამოწმდეს ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე და საჭიროების შემთხვევაში განახლდეს.

კლასტერის ზოგადი რჩევები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რჩევები არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

.....

შეფასება

კომპონენტი 1.5 აკადემიური კურსი/საგანი	შეესაბამება მოთხოვნებს	მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)		x		
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)		x		

პროგრამების შესაბამისობა სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შეესაბამება მოთხოვნებს	მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	x			
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)	x			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

ინგლისურენოვან ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლიათ სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურ ენაში მინიმუმ 60 ქულის მიღება. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უნივერსიტეტში ჩარიცხვა შეუძლიათ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამაზე სწავლის წინაპირობაა B2 დონის ფლობა. სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტში წარადგინოს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონის შესაბამისად სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სწავლების ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ სტუდენტებს შეუძლიათ ჩაირიცხონ ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

საქართველოს მოქალაქეებს, ვისაც აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი შეუძლიათ ჩაირიცხონ ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურ ენაში მინიმუმ 60 ქულის მიღება. უცხო ქვეყნის მოქალაქეებს უნივერსიტეტში ჩარიცხვა შეუძლიათ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამაზე სწავლის წინაპირობაა B2 დონის ფლობა. სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ პირი ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტში წარადგინოს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო კანონის შესაბამისად სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სწავლების ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ სტუდენტებს შეუძლიათ ჩაირიცხონ ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში და ხელმისაწვდომია ვებგვერდზე. სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა შეუძლიათ სრული ზოგადი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტში უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღება შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშეც. მას შემდეგ რაც პირს მიენიჭება სტუდენტის სტატუსი, მან უნდა წარუდგინოს უნივერსიტეტს დასრულებული ზოგადი

განათლების ან მისი ეკვივალენტური კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირმა უნდა წარადგინოს სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი. ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ სტუდენტებს შეუძლიათ მობილობის პრინციპით ჩაირიცხონ სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. მობილობა ნებადართულია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი ვადების მიხედვით. ეს პროცესი უნდა განხორციელდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადგილზე ვიზიტი
- ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი;
- სასწავლო პროცესის რეგულირება;
- ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრის წესი;
- ალტერნატივის ვებსაიტი;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რეკომენდაციები არ არის.

კლასტერის ზოგადი რჩევები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რჩევები არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცია(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

.....

შეფასება

კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შეესაბამება მოთხოვნებს	მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	x			
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)	x			

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

ბიზნესის ადმინისტრირების კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები ითვალისწინებს პრაქტიკული, კვლევითი და/ან ტრანსფერული უნარების განვითარებას. საგანმანათლებლო პროგრამები სთავაზობს პრაქტიკის კომპონენტს, პრაქტიკული სწავლების კურსებსა და სწავლების კურსებში ინტეგრირებულ პრაქტიკას, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომს კვლევითი უნარების განვითარებისთვის და თავისუფალი კომპონენტის სასწავლო კურსებს ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის. სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების მიზნით უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებს.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული, კვლევითი და/ან ტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარებას. საგანმანათლებლო პროგრამა გთავაზობს პრაქტიკის კომპონენტს, პრაქტიკული სწავლების

კურსებს და სასწავლო კურსებში ინტეგრირებულ პრაქტიკას პრაქტიკული უნარ-ჩვევების განსავითარებლად; თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო კურსები უზრუნველყოფს ტრანსფერული კურსების განვითარებას.

პრაქტიკა წარმოადგენს საბაკალავრო პროგრამის კომპონენტს, რომლის მოცულობაც განსაზღვრულია რვა კრედიტით. პრაქტიკის კომპონენტის მიზანია განუვითაროს სტუდენტებს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

სტუდენტები გაივლიან პრაქტიკას საქართველოში მოქმედ ორგანიზაციებში, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის ხელშეკრულება ან ოფიციალურად ადასტურებს კონკრეტული სტუდენტის პრაქტიკის გავლის მზაობას. პრაქტიკის შინაარსი და დეტალები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით, რომელიც შედგენილია თითოეული პროგრამისთვის. პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტს ხელმძღვანელობს პრაქტიკის ობიექტის მიერ დანიშნული მენტორი და უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული პრაქტიკის ზედამხედველი. პრაქტიკის დასრულების შემდეგ სტუდენტმა უნდა წარადგინოს პრაქტიკის ანგარიში და საჯაროდ დაიცვას იგი.

საბაკალავრო ნაშრომი არის სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებული მცირე მოცულობის კვლევა, რომელშიც უნდა გამოჩნდეს სტუდენტის ცოდნის დონე და კვლევითი უნარ-ჩვევები აკადემიური და საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად. მისი მიზანია ბიზნესის სპეციალობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და კონკრეტული სამეცნიერო, ტექნიკური, ეკონომიკური ან პროფესიული ამოცანების დასაბუთებული გადაჭრის უზრუნველყოფა. ნაშრომის მომზადებისა და დაცვისათვის გათვალისწინებულია რვა კრედიტი.

საბაკალავრო პროგრამები ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს, რომელიც სავალდებულო კურსების ფარგლებში მოიცავს სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებს ტრანსფერული უნარ-ჩვევების განსავითარებლად.

თავისუფალი კომპონენტის არჩევითი კურსების ფარგლებში სტუდენტებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების საფუძველზე აირჩიონ როგორც მიმდინარე პროგრამის არჩევითი კურსები, ასევე მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამების კურსები, სათანადო წინაპირობებისა და განათლების დონის გათვალისწინებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტების პრაქტიკული და ტრანსფერული უნარ-ჩვევების განვითარებას უზრუნველყოფს სასწავლო კურსებში მათი ინტეგრირებით, სწავლის შედეგებისა და დონის შესაბამისად. ამას უზრუნველყოფს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ინსტრუქციები და პრაქტიკის რეგულაციები.

პროგრამის პროფესიული პრაქტიკის სასწავლო კურსი (10 კრედიტი) იგეგმება პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად.

პრაქტიკული სწავლების ინტეგრირება სპეციალობის სავალდებულო ან არჩევით კურსებში ადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამის შესაძლებლობას სტუდენტებში განავითაროს პრაქტიკული და ტრანსფერული უნაბი.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სტუდენტები ჩართულნი არიან კვლევით და პრაქტიკულ აქტივობებში - "საგანმანათლებლო უნივერსიტეტის ხედვის შესაბამისად, სტუდენტები პერიოდული ინტენსივობით აქტიურად არიან ჩართულნი მიმდინარე სამეცნიერო-შემეცნებით და პრაქტიკულ აქტივობებში, რაც მოიცავს სტუდენტური/სამეცნიერო კონფერენციების, გამოყენებითი კვლევების, ფორუმების, დისკუსიების, მასტერკლასების, ღია კარის დღეების, აბიტურიენტებთან შეხვედრებისა და სტუდენტთა მოზიდვის კამპანიების დაგეგმვასა და ორგანიზებაში მონაწილეობას" (თვითშეფასების ანგარიშის 36-ე გვერდი). თუმცა, აღწერილი აქტივობები სრულად არ ასახავს სამაგისტრო დონის სტუდენტებისთვის შესაფერისი კვლევის სიღრმეს. საგანმანათლებლო უნივერსიტეტს არ აქვს ადგილობრივი ან საერთაშორისო ფონდების მიერ დაფინანსებული ინსტიტუციური და ინდივიდუალური სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, რომელთა კვლევით გუნდში უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალია წარმოდგენილი. უფრო მეტი ძალისხმევა კვლევითი პროექტების განხორციელებისა და დაფინანსების მოპოვების მიმართულებით უზრუნველყოფს აფილირებული პერსონალისა და კვლევის ხელმძღვანელების უწყვეტ პროფესიულ განვითარებას და სტუდენტების ჩართულობას მათი საგანმანათლებლო დონის შესაბამის კვლევებში. სტუდენტების წახალისება და ხელმძღვანელობა კვლევითი ან პრაქტიკული საგრანტო პროექტების წერაში ასევე დაეხმარება მათ შესაბამისი ლიდერული უნარების გამომუშავებაში და უზრუნველყოფს მათ ჩართულობას კვლევით ან პრაქტიკულ პროექტებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადგილზე ვიზიტი
- ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- მემორანდუმი/ხელშეკრულებები დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან;
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის ინსტრუქციები;
- პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების წესი;
- პროფესიული პრაქტიკის განხორციელების წესი;
- პრაქტიკის უზრუნველყოფა;
- თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რეკომენდაციები არ არის.

კლასტერის ზოგადი რჩევები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რჩევები არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: რეკომენდებულია უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს და წახალისოს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების სამეცნიერო პროდუქტიულობა, განსაკუთრებით კვლევების დაფინანსების მოზიდვა გარე, ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდებიდან. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებმა ასევე უნდა გაუწიონ სტუდენტებს ხელმძღვანელობა ადგილობრივი და საერთაშორისო ფონდების მიერ გამოცხადებული კვლევითი საგრანტო პროექტების მომზადებაში.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

შეფასება

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/შემსრულებელი და ტრანსფერული უნარების განვითარება	შეესაბამება მოთხოვნებს	მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	X			
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)		X		

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

კლასტერში გამოყენებული სწავლების მეთოდები შესაბამისია და შეესაბამება უმაღლესი აკადემიური განათლების დონეს პროგრამების მიხედვით. სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ პროფესორები იყენებენ ინოვაციურ და მრავალფეროვან სწავლების მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება ინდივიდუალური საგნის შინაარსს. პროფესორებმა დაადასტურეს, რომ ისინი რეგულარულად ანახლებენ თავიანთ ცოდნას იმ მეთოდების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურს, რაც უზრუნველყოფს კურსის შინაარსის შესაბამისობას სწავლის შედეგებთან და ხელს უწყობს მათ მიღწევას. სწავლების და სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. სწავლის შედეგების მისაღწევად შემუშავებულია სხვადასხვა მეთოდი, როგორცაა ახსნის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატები, პრეზენტაცია, როლური და სიტუაციური თამაშები, ქეისის განხილვა, ჯგუფური მუშაობა, გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება და სხვა. საჭიროების შემთხვევაში, ლექტორები ინკლუზიურად განსაზღვრავენ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მეთოდებს, სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებებისა და კულტურული განსხვავებების გათვალისწინებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამაში სწავლების მეთოდები შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს და უზრუნველყოფს კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის შედეგების მისაღწევად შემუშავებულია სხვადასხვა მეთოდი, როგორცაა კითხვით სწავლება, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, დისკუსია/დებატებში მონაწილეობა, გონებრივი იერიში, დემონსტრირების მეთოდი, შემთხვევის ანალიზი (ქეისის განხილვა), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), როლური და სიტუაციური თამაშები; პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია და სხვა. შეფასების ფორმები შედგება შუალედური შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ყოველკვირეულ აქტივობებს და შუალედურ გამოცდას, ასევე დასკვნითი გამოცდისგან. ეს კომპონენტები ერთად ქმნის საერთო საბოლოო შეფასებას. შეფასება მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ზეპირი და წერილობითი გამოცდები, ზეპირი და წერილობითი გამოკითხვები და პრაქტიკული თუ თეორიული სამუშაოები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ადგილზე ვიზიტი
- ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;

- სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- თვიშეფასების ანგარიში.

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რეკომენდაციები არ არის.

კლასტერის ზოგადი რჩევები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რჩევები არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

.....

შეფასება

კომპონენტი 2.3. სწავლებისა და სწავლის მეთოდები	შეესაბამება მოთხოვნებს	მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	x			
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)	x			

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეჯამება და ანალიზი

უნივერსიტეტს დანერგილი აქვს სტუდენტთა სწავლის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, რომელიც ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს". ეს თანხვედრა ეროვნულ სახელმძღვანელო პრინციპებთან ცხადყოფს უნივერსიტეტის მისწრაფებას უმაღლესი განათლების სფეროში არსებული კანონმდებლობის სრულფასოვანი დანერგვისკენ და სტანდარტების დაცვისკენ.

დამატებით შეფასების სისტემა რეგულირდება უნივერსიტეტის "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" და სხვა შიდა რეგულაციებით. ეს წესები ერთნაირად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, რაც მიუთითებს შეფასების პროცესში სამართლიანობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფის ვალდებულებაზე.

სტუდენტი კრედიტს მიიღებს მხოლოდ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემთხვევაში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის გამოყენებით (შუალედური ან დასკვნითი შეფასება), გარდა სამაგისტრო ნაშრომისა. შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებას (შუალედური გამოცდა/გამოცდები და/ან მიმდინარე სემესტრული შეფასება) და დასკვნით შეფასებას. კურსის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა. დასკვნითი გამოცდის კონკრეტულ წილს განსაზღვრავს თითოეული საგანმანათლებლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, საერთო შეფასების 30%-50%+ 1 ქულის ფარგლებში. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთ დადებით და ორ უარყოფით შეფასებას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანების შესაბამისად. დასკვნით შეფასებაზე გასვლის უფლების მოსაპოვებლად, სტუდენტმა უნდა გადალახოს იმ სემესტრის შუალედური შეფასებისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც განსაზღვრავს კურსის პედაგოგი. სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დასკვნითი გამოცდის აღდგენით გამოცდაზე, თუ მან მიიღო მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებითი გამოცდის ჩაბარების საშუალება.

იგივე წესი მოქმედებს, თუ შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამი არის მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ სტუდენტმა ვერ გადალახა დასკვნით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში უნივერსიტეტი ვალდებულია დანიშნოს დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში. ეს ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო პროექტზე/ნაშრომზე. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ფასდება იმავე ან მომდევნო სემესტრში, როდესაც სტუდენტმა დაასრულა მუშაობა. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასება) მისი დაცვის დროს. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით. რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომს, იგი ფასდება ორ ეტაპად: შუალედური და საბოლოო შეფასება.

საბაკალავრო ნაშრომის შუალედური შეფასების მაქსიმალური შეფასებაა 60 ქულა, და საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასების მაქსიმალური შეფასება 40 ქულაა. თუ

სტუდენტის შეფასება (FX), მას უფლება აქვს იმავე სემესტრში გავიდეს საჯარო დაცვაზე, მაგრამ არაუადრეს პირველი დაცვის შედეგების გამოცხადებიდან 5 კალენდარული დღისა. პრაქტიკული კომპონენტი ფასდება 100-ქულიანი სისტემით. მენტორი აფასებს სტუდენტს 60 ქულის ფარგლებში წინასწარ შერჩეულ პრაქტიკულ დაწესებულებაში. სტუდენტი ვალდებულია კომისიის წინაშე წარადგინოს შესრულებული აქტივობის ანგარიში (საბოლოო შეფასება), რომელიც ფასდება 40 ქულით.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კონკრეტული წილი და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განსაზღვრულია შესაბამისი პროგრამების სილაბუსებსა და ისეთ საინსტრუქციო დოკუმენტებში, როგორიცაა "სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი", "საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია", "სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია", "პრაქტიკის დებულება" და სხვა. ყველა დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე. თუმცა, საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული ზოგიერთი დოკუმენტი საჭიროებს განახლებას ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინფორმაციის აქტუალურობის შენარჩუნების მიზნით.

ასევე, კურსის ლექტორები ვალდებულნი არიან სწავლის პირველივე კვირაში გააცნონ სტუდენტებს შეფასების თავისებურებები. ეს პრაქტიკა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები კურსების დაწყებისთანავე ინფორმირებულნი არიან შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია - სასწავლო კომპონენტი და კვლევითი/სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი. სასწავლო კომპონენტი არის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის, პრაქტიკული პროექტის, საბაკალავრო პროექტის/ნაშრომის ან სხვა კომპონენტის სახით. კვლევის კომპონენტი არის სამაგისტრო პროგრამის ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტით/თეზისით. სწავლების ფორმებია: ლექცია, სემინარი, ჯგუფური მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული სამუშაო და სხვა. შეფასების ფორმები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ შეფასების მეთოდებს: ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული სამუშაოს შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დებატებში მონაწილეობა და სხვა. შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით - გაზომვის ერთეულით, რომელიც გამოიყენება მიღწეული სწავლის შედეგების დონის შესაფასებლად. შეფასების კომპონენტი, მეთოდი და კრიტერიუმები უნდა იყოს მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატური და განისაზღვრება საგანმანათლებლო პროგრამით.

სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის უნივერსიტეტმა დაანერგა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - ini.ge. ელექტრონული პორტალი არის მასწავლებლის, სტუდენტისა და ადმინისტრაციის ურთიერთდაკავშირებული ელექტრონული სისტემა. სტუდენტი ვალდებულია რეგულარულად შეამოწმოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაზე ატვირთული ინფორმაცია, მასალები, დავალებები, შეფასებები და ა.შ.

უნივერსიტეტს დანერგილი აქვს სტუდენტთა შეფასებისა და უკუკავშირის კომპლექსური სისტემა, რომელიც სრულად ინტეგრირებულია საგანმანათლებლო პროცესში. ეს მიდგომა ხაზს უსვამს სწავლის პროცესში უწყვეტი შეფასების მნიშვნელობას, მხოლოდ საბოლოო გამოცდებსა თუ ნიშნებზე დაყრდნობის ნაცვლად. კურსის მასწავლებელი გადამწყვეტ როლს თამაშობს ამ პროცესში, სთავაზობს სტუდენტებს პერსონალიზებულ უკუკავშირს, როგორც სესიების დროს, ასევე ინდივიდუალური კონსულტაციების დროს. ეს ინდივიდუალური მიდგომა იძლევა აკადემიური მოსწრებისა და სწავლის მიზნებისკენ პროგრესის მიზნობრივი ხელმძღვანელობის საშუალებას. საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგები იძლევიან კონკრეტულ რეკომენდაციებს გაუმჯობესებისთვის, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წარმატების მისაღწევად საჭირო მხარდაჭერა.

შეფასებების საინფორმაციო სისტემაში შეტანის შემდეგ, სტუდენტებს აქვთ სამი დღის ვადა, რომლის განმავლობაშიც მათ შეუძლიათ პედაგოგთან ერთად განიხილონ საგამოცდო ნაშრომი და მიიღონ უკუკავშირი. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ ეთანხმება ამ უკუკავშირის შედეგს, მას აქვს ხუთდღიანი ვადა დეკანისთვის წერილობითი აპელაციის წარსადგენად. ასეთი აპელაციის მიღების შემდეგ, დეკანი პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით აყალიბებს კომიტეტს. კომიტეტი შედგება შესაბამისი დარგის ექსპერტის, პროგრამის ხელმძღვანელის, დეკანისა და ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლისგან. კომიტეტს ევალება საგამოცდო ნაშრომის ხელახალი შეფასების უზრუნველყოფა.

ამ ხელახალი შეფასების შედეგი ითვლება საბოლოოდ და სავალდებულოდ. მიუხედავად იმისა, რომ უზრუნველყოფილია სტუდენტების შეფასების შედეგების გასაჩივრება, გასაუბრების სესიებზე ცხადი გახდა, რომ უნივერსიტეტს აქვს გაუმჯობესების შესაძლებლობა, როდესაც საქმე ეხება გასაჩივრების, განსაკუთრებით საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის შედეგების, მექანიზმს. უნივერსიტეტში განაცხადეს, რომ ისინი ხელახლა აფასებენ დისერტაციის დაცვის ზეპირი საგამოცდო კომპონენტს კომისიის სხდომის ოქმში მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე (სადაც სტუდენტის ზეპირი გამოსვლა "ფიქსირდება" წერილობითი ფორმით). თუმცა, ამის არანაირი მტკიცებულება არ არსებობდა კომისიის სხდომის ოქმის გამოთხოვნისა და განხილვის შემდეგაც კი. დაწესებულების პასუხის, დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და შემდგომი ყოვლისმომცველი ანალიზის საფუძველიანი განხილვის შემდეგ, ჩვენ გამოვავლინეთ პოტენციური ხარვეზები ორ სფეროში: გამოცდის ზეპირი კომპონენტის გასაჩივრების მექანიზმის არარსებობაში ან/და პოტენციური პრაქტიკული გამოწვევები არსებული პროცედურული ჩარჩოს დანერგვისას. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ შეფასების შედეგების აპელაცია უზრუნველყოფილია, ჩვენ ვთავაზობთ დაწესებულებას პრიორიტეტი მიანიჭოს ამ პრობლემების მოგვარება და სრულყოფილად შეისწავლოს ზეპირი გამოცდის კომპონენტის შედეგების გასაჩივრების მექანიზმის დანერგვის არსებული პრაქტიკა.

ამ ხელახალი შეფასების შედეგი ითვლება საბოლოო და სავალდებულოდ. მიუხედავად იმისა, რომ უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, გასაუბრებების დროს გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტმა უნდა დახვეწოს გასაჩივრების მექანიზმი ზეპირი გამოცდების შედეგების გასაჩივრების კონტექსტში, განსაკუთრებით საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის შედეგების გათვალისწინებით. უნივერსიტეტმა განაცხადა, რომ ისინი ახდენენ ნაშრომების დაცვის ზეპირი გამოცდის კომპონენტის ხელახალ შეფასებას კომისიის სხდომის ოქმში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით (სადაც სტუდენტის ზეპირი გამოსვლა "ფიქსირდება" წერილობითი ფორმით). თუმცა, არ აღმოჩნდა ამის დამადასტურებელი მტკიცებულება, კომისიის სხდომის ოქმების მოთხოვნისა და შესწავლის შემდეგაც კი. ამდენად, რეკომენდებულია გასაჩივრების არსებული მექანიზმის დახვეწა ზეპირი გამოცდების ნაწილის გასაჩივრების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების შედეგების კონტექსტში. ამდენად, რეკომენდებულია არსებული გამოცდების შედეგების გასაჩივრების მექანიზმის მოდიფიცირება ზეპირი გამოცდების შედეგების გასაჩივრების უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტი იყენებს ჰოლისტურ მიდგომას საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურობის შესაფასებლად. რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვებით სხვადასხვა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის საშუალებით, უნივერსიტეტს შეუძლია შეაფასოს არა მხოლოდ ის, თუ რამდენად აღწევნა სტუდენტები სწავლის დაგეგმილ შედეგებს, არამედ მათი საერთო კმაყოფილება სასწავლო კურსებით (უკუკავშირის შესაგროვებლად QR კოდების გამოყენება მართლაც ეფექტური და თანამედროვე მიდგომაა სტუდენტთა მოსაზრებების შესაგროვებლად). ეს ორმაგი ფოკუსი - მიღწევებსა და კმაყოფილებაზე - საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს უწყვეტად დახვეწოს და გააუმჯობესოს საგანმანათლებლო შეთავაზებები, რაც ქმნის უფრო მოქნილ და ეფექტურ სასწავლო გარემოს სტუდენტებისთვის.

უნივერსიტეტს მიღებული აქვს "ელექტრონული სწავლების წესი", რომელიც სტუდენტებს აძლევს პერსონალიზებული და მოქნილი მეთოდოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას, რომელიც ადაპტირებადია როგორც დროის, ისე ადგილმდებარეობის თვალსაზრისით, ამავდროულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას ონლაინ საინფორმაციო რესურსების, ვიდეო და აუდიო არხების გამოყენებით. თუმცა, უნივერსიტეტმა პროაქტიულად უნდა შეუსაბამოს ელექტრონული სწავლების პოლიტიკა ამ სფეროში ახალ საკანონმდებლო აქტებს. ეს პროგრესული მიდგომა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პოზიციონირებას საგანმანათლებლო ინოვაციების ავანგარდში და განახლებად მარეგულირებელ ჩარჩოებთან შესაბამისობას. შემდეგი ნაბიჯი უნივერსიტეტისთვის იქნება მისი პროგრამების ყოვლისმომცველი მიმოხილვის ჩატარება კონკრეტული კომპონენტების იდენტიფიცირებისთვის, სადაც ელექტრონული სწავლება ყველაზე ეფექტურად შეიძლება იქნეს ჩართული. ეს ანალიზი უნდა ითვალისწინებდეს საბაკალავრო და სამაგისტრო დონის სწავლებისთვის დადგენილ კრედიტების ლიმიტებს, რაც უზრუნველყოფს, რომ ონლაინ ელემენტების ინტეგრაცია აუმჯობესებს და არა აზიანებს საერთო საგანმანათლებლო გამოცდილებას.

უნივერსიტეტს დანერგილი აქვს კომპლექსური მიდგომა სტუდენტთა შეფასებებში აკადემიური კეთილსინდისიერების დასაცავად, რაც აჩვენებს მის მტკიცე ვალდებულებას შეინარჩუნოს მაღალი ეთიკური სტანდარტები აკადემიურ საქმიანობაში. ეს მრავალმხრივი სტრატეგია მოიცავს როგორც პრევენციულ ზომებს, ასევე სადამსჯელო ქმედებებს აკადემიური გადაცდომების აღმოსაფხვრელად. უნივერსიტეტის რეგულაციები აკადემიურ ეთიკასა და პლაგიატზე წარმოადგენს ამ მიდგომის ბირთვს. ეს სახელმძღვანელო პრინციპები არა მხოლოდ განსაზღვრავს სტუდენტთა ქცევის მოლოდინებს, არამედ აყალიბებს კონკრეტულ სანქციებს დარღვევებისთვის, რაც ქმნის მკაფიო ჩარჩოს აკადემიური არაკეთილსინდისიერების შემთხვევების განსაზღვრისთვის. ამ პოლიტიკაზე დაფუძნებული მიდგომა უზრუნველყოფს თანმიმდევრულობასა და სამართლიანობას აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხების განხილვისას. პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამული უზრუნველყოფის, კერძოდ "strikeplagiarism"-ის დანერგვა წარმოადგენს ტექნოლოგიურ ინვესტიციას პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციისთვის.

წერითი დავალებებისა და ნაშრომების სისტემატური შემოწმებით, უნივერსიტეტს შეუძლია უფრო ეფექტურად და ზუსტად გამოავლინოს აკადემიური გადაცდომის პოტენციური შემთხვევები. ეს ინსტრუმენტი არა მხოლოდ გამოვლენის მექანიზმის როლს ასრულებს, არამედ შემაკავებელ ფაქტორსაც წარმოადგენს, რაც სტუდენტებს ორიგინალური ნაშრომების შექმნისკენ უბიძგებს. აკადემიური შეხვედრების ჩატარებითა და სასწავლო კურსების სილაბუსებში პლაგიატის შესახებ გაფრთხილებების ჩართვით, უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს სტუდენტებში აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე. ეს ძალისხმევა მიზნად ისახავს აკადემიური გადაცდომის პრევენციას სტუდენტების მოლოდინებისა და შედეგების შესახებ სათანადო ინფორმირების გზით. აშკარა იყო, რომ როგორც პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა/მოწვეულმა პერსონალმა, ისე სტუდენტებმა იცოდნენ აკადემიური კეთილსინდისიერების ინსტიტუციონალიზებული მიდგომის შესახებ და იყენებდნენ აკადემიური გადაცდომის აღმოფხვრის ინსტრუმენტებს. უფრო მეტიც, ზოგიერთი პედაგოგი პირადი მოხმარების დამატებით პროგრამულ უზრუნველყოფასაც იყენებდა ნაშრომების მსგავსების შესამოწმებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;
- საბაკალავრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია;
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია;
- სტაჟირების დებულება;
- საბაკალავრო სწავლების დებულება;
- სამაგისტრო სწავლების დებულება;
- სტუდენტების შეფასების ელექტრონული სისტემა ini.ge;
- აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა;
- პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმი;
- დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია - კონსულტაციის განრიგი;
- ელექტრონული სწავლების წესი;

- ვებსაიტი: <https://alterbridge.edu.ge/en/>;
- ინტერვისუ შედეგები.

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:

კლასტერის ზოგადი რჩევები:

- სასურველია წარმოდგენილი პროგრამების კომპლექსური გადახედვა იმ კონკრეტული კომპონენტების იდენტიფიცირებისთვის, სადაც ელექტრონული სწავლება ყველაზე ეფექტურად შეიძლება იქნას ინტეგრირებული, მოქმედი კანონმდებლობით საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების საფეხურისთვის დადგენილი კრედიტების ლიმიტების გათვალისწინებით.
- სასურველია დაწესებულებამ შეისწავლოს ზეპირი გამოცდის კომპონენტის გასაჩივრების მოქმედი მექანიზმის განხორციელების პრაქტიკა და გამოავლინოს შესაძლო ხარვეზები.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: რეკომენდებულია ვებგვერდზე სტუდენტთა შეფასების მარეგულირებელი დოკუმენტების ინგლისურენოვანი ვერსიების განახლებაც, რათა ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომი იყოს განახლებული ინფორმაცია.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

.....

შეფასება

კომპონენტი 2.4 -
სტუდენტთა შეფასება

შესაბამისობაში
ა
მოთხოვნებთან

მეტწილად
შესაბამისობაში
ა
მოთხოვნებთან

ნაწილობრივ
შესაბამისობაში
ა
მოთხოვნებთან

არ არის
შესაბამისობაში
მოთხოვნებთან

პროგრამა 1 (ბიზნესის
ადმინისტრირება,

x

საბაკალავრო პროგრამა)

პროგრამა 2 (სტრატეგიული

x

კომუნიკაცია, სამაგისტრო

პროგრამა)

პროგრამების შესაბამისობა სტანდარტებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება	შეესაბამება მოთხოვნებს	მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)	x	☐	☐	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში შექმნილია სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და კონსულტირების სისტემა. სტრუქტურული ერთეული „აბიტურიენტთა და სტუდენტთა მომსახურების ცენტრი“ პირველადი კონტაქტის პუნქტად ემსახურება სტუდენტებს, რომლებსაც სურთ ინფორმაციის მოძიება აკადემიურ საკითხებზე, ექსტრაკურთულობის აქტივობებზე და სტუდენტურ ცხოვრებაზე. უნივერსიტეტი ატარებს რეგულარულ საინფორმაციო შეხვედრებს სამიზნე ჯგუფებთან, რათა უზრუნველყოს სტუდენტების სათანადო ინფორმირებულობა საუნივერსიტეტო ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის თაობაზე. სტუდენტების კამპუსში შესვლის მომენტიდან, მათ მიესალმებიან ყოვლისმომცველი

საორიენტაციო პროგრამით, რომელიც შექმნილია მათთვის ფიზიკური განლაგების, აკადემიური რესურსების და ხელმისაწვდომი სოციალური შესაძლებლობების გასაცნობად. ეს თავდაპირველი გაცნობა აკადემიურ ცხოვრებაში მათი ინტეგრაციის საფუძველს წარმოადგენს. საკონსულტაციო მომსახურება ხელმისაწვდომია ყოველი სემესტრის დასაწყისში, პირადი შეხვედრით, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა გზამკვლევობაზე, საჭიროების შემთხვევაში. საკონსულტაციო საათები უნივერსიტეტს ასევე ინტეგრირებული აქვს აკადემიური პერსონალის დატვირთვის დოკუმენტებში, რაც აჩვენებს სტუდენტთა მხარდაჭერის ვალდებულებას ყველა დონეზე.

უნივერსიტეტი ავლენს მტკიცე ვალდებულებას სტუდენტების კარიერული განვითარებისა და დასაქმების მხარდაჭერისადმი. უნივერსიტეტი აწყობს დასაქმების ფორუმებს, სადაც სტუდენტებს აწვდიან ამომწურავ ინფორმაციას შრომის ბაზრის გამოწვევებზე და შესაძლებლობებზე, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტაჟირების პროცედურები, რაც მიზნად ისახავს პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, მომავალი დასაქმების პერსპექტივით. პრაქტიკული გამოცდილებისა და ინდუსტრიული კავშირების ხელშესაწყობად, უნივერსიტეტს დამყარებული აქვს პარტნიორობა დაახლოებით 80 ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან. გარდა ამისა, კარიერული სერვისები რეგულარულად აწვდის ინფორმაციას სტუდენტებს ვაკანსიების შესახებ, რათა მათ იცოდნენ პოტენციური დასაქმების შესაძლებლობების შესახებ.

სტუდენტების აკადემიური პროგრესის მხარდასაჭერად უნივერსიტეტმა განახორციელა რამდენიმე ღონისძიება. უნივერსიტეტი სთავაზობს საკონსულტაციო მომსახურებას სასწავლო გეგმის დაგეგმვაში, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში, რითაც უზრუნველყოფს იმას, რომ სტუდენტებმა ეფექტიანად გაიარონ თავიანთი აკადემიური გზა. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსისა და განხორციელების პროცესების გამჭვირვალე კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად დანერგილია მართვის ელექტრონული სისტემა (INI.GE). ეს სისტემა იძლევა მაქსიმალური ინფორმაციის გაზიარების შესაძლებლობას სწავლებასთან დაკავშირებული ცვლილებებისა თუ უნივერსიტეტის სხვა სიახლეების შესახებ. უნივერსიტეტში ასევე ხელმისაწვდომია პროგრამის კატალოგები, ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვისაც, რაც ზრდის საერთაშორისო სტუდენტების ხელმისაწვდომობას.

უნივერსიტეტი ხაზს უსვამს სტუდენტზე ორიენტირებულ პროცესს, რომელიც ფოკუსირებულია პიროვნულ განვითარებასა და თვითრეალიზაციაზე. ამ მიდგომას მოწმობს ტრანსფორმაციული სწავლების პრაქტიკის დანერგვა და ექსპერიმენტული თუ ინტერდისციპლინური განათლების მეთოდების შემოღება. უნივერსიტეტში შექმნილია სპეციალიზებული სასწავლო ცენტრები, კერძოდ, „ალტერბრიჯის სასწავლო ცენტრი“ და „ინოვაციური განათლების ცენტრი“, რომლებიც ფოკუსირებულია კარიერული და პიროვნული ზრდის პროგრამებზე. ეს ცენტრები მიზნად ისახავს შემოქმედებითი და სამეწარმეო უნარების განვითარებას, ლოგიკური აზროვნების გაღრმავებას და სტუდენტების დახმარებას პირადი პოტენციალის რეალიზებაში. განათლებლისადმი მიდგომაში უნივერსიტეტი პრიორიტეტს ანიჭებს პრაქტიკულ გამოცდილებას და მის რეალურ სამყაროში გამოყენებას. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა პროექტებში, რაც აწვდის მათ

პრაქტიკულ გამოცდილებას სწავლის სფეროებში. უნივერსიტეტი, აკადემიურ სწავლისა და პროფესიული პრაქტიკის დაახლოების გზით, სტუდენტებს უქმნის დამსაქმებლებთან უშუალო კომუნიკაციის შესაძლებლობებს. გარდა ამისა, სტუდენტებს მოუწოდებენ მონაწილეობა მიიღონ კვლევით პროექტებში, შემოქმედებით, სოციალურ და საზოგადოებრივ აქტივობებში, რაც ხელს უწყობს სრულყოფილი საგანმანათლებლო გამოცდილების მიღებაში.

უნივერსიტეტი, სხვადასხვა ინიციატივით, ხელს უწყობს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს უწყვეტი განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრი - „ალტერბრიჯის სასწავლო ცენტრი“, რომელიც მიზნად ისახავს ინდივიდების საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებას მთელი ცხოვრების მანძილზე. ეს ცენტრი უზრუნველყოფს სხვადასხვა სასწავლო ღონისძიებას, საზაფხულო სკოლებს, მასტერკლასებს და პროფესიულ პროგრამებს. სწავლის ამ მრავალფეროვანი შესაძლებლობების შეთავაზებით, ტრადიციული აკადემიური ხარისხის პროგრამების მიღმა, უნივერსიტეტი ემსახურება საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ და ასაკობრივ ჯგუფს, მხარს უჭერს პროფესიულ განვითარებას და კვალიფიკაციის ამაღლებას.

უნივერსიტეტმა ჩამოყალიბებული აქვს სტუდენტებისათვის ფინანსური შეღავათებისა და წახალისების მკაფიო მექანიზმები. უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს სტიპენდიებს აკადემიურ მოსწრებაზე დაფუძნებული, ქულების საშუალო შეფასების (GPA) სისტემის მეშვეობით. ფინანსური შეღავათები ხელმისაწვდომია სტუდენტების სხვადასხვა კატეგორიისთვის, მათ შორის სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის, რაც მრავალფეროვან სტუდენტურ ჯგუფებს უზრუნველყოფს განათლების ხელმისაწვდომობით. უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს ერთჯერად ფულად ჯილდოს განსაკუთრებული მიღწევებისათვის, აღიარებს და აჯილდოვებს გამორჩეული შედეგების მქონე სტუდენტებს.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი სთავაზობს საერთო სამაგისტრო გამოცდებისათვის უფასო მოსამზადებელ კურსებს, რაც აჩვენებს მის ვალდებულებას სტუდენტების აკადემიური წინსვლის მხარდაჭერისადმი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სტიპენდიების სისტემა, შესაძლოა ამ მიმართულებით არსებობდეს გაუმჯობესების მცირედი შესაძლებლობა. როგორც დაფიქსირდა გასაუბრებების დროს და კვლევითი აქტივობების შესწავლის შემდეგ, უნივერსიტეტს შესაძლოა დაემატოს კრიტერიუმები სტიპენდიის მიღების უფლების მოსაპოვებლად. აკადემიურ და კვლევით აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის გასაზრდელად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სტიპენდიის მისაღებად ასეთ აქტივობებში ჩართულობის კრიტერიუმების დამატება (დამატებითი ქულების მინიჭება ამ აქტივობებში ჩართულობის გამო). ამ დამატებამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს სტუდენტების ჩართულობა კვლევით პროექტებში, აკადემიურ კონფერენციებსა და სხვა სამეცნიერო საქმიანობაში. ფინანსური წახალისების დაკავშირებით აკადემიურ და კვლევით ჩართულობასთან, უნივერსიტეტმა შეიძლება ხელი შეუწყოს სტუდენტებში უფრო აქტიური კვლევითი კულტურის ჩამოყალიბებას, რაც პოტენციურად გამოიწვევს ინოვაციებისა და აკადემიური პროდუქტიულობის გაზრდას. ეს მიდგომა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის ორიენტირებაზე პრაქტიკულ გამოცდილებასა და პიროვნულ განვითარებაზე და ასევე უზრუნველყოფს მის კვლევით მიზნებს.

უნივერსიტეტს განხორციელებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით. ეს მოიცავს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის ხელშეწყობას, ერთობლივ კვლევით პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერას, უნივერსიტეტის საქმიანობაში უცხოელი ექსპერტების ჩართვას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებას. ამ პოლიტიკის განხილვა და განახლება ხდება რეგულარულად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისი აქტუალობა და ეფექტურობა გლობალურად განვითარებად აკადემიურ სფეროში. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ფართო საერთაშორისო პარტნიორობა მისი გლობალური ცნობადობის გასაძლიერებლად და მისი სტუდენტებისა და პერსონალისთვის მრავალფეროვანი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. უნივერსიტეტი თანამშრომლობს მრავალ უნივერსიტეტთან და საერთაშორისო ახალგაზრდულ ორგანიზაციასთან, აკადემიური გაცვლისა და თანამშრომლობისთვის ქმნის ფართო ქსელს. უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო საგანმანათლებლო ფორუმებში, რომლებიც წარმოადგენენ ცოდნის გაზიარებისა და პარტნიორობის განვითარების პლატფორმას. უნივერსიტეტს ასევე გაფორმებული აქვს ორმხრივი მემორანდუმები საერთაშორისო პარტნიორობთან, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო მობილობას და საერთაშორისო პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებას.

აცნობიერებს რა გლობალური გამოცდილების მნიშვნელობას პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაში, უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებში. უნივერსიტეტი ჩართულია Erasmus+ საგანმანათლებლო მობილობის საერთაშორისო პროგრამებში, რაც სტუდენტებს აძლევს საზღვარგარეთ სწავლისა და საერთაშორისო ცნობადობის მოპოვების შესაძლებლობას. უნივერსიტეტი ასევე მონაწილეობს ევროპის ახალგაზრდული ფონდის პროექტებში, რაც სტუდენტებს სთავაზობს უნიკალურ სასწავლო გამოცდილებას. გარდა ამისა, უნივერსიტეტი აწყობს და მონაწილეობს კულტურული გაცვლის პროგრამებსა და სტუდენტურ ფესტივალებში, რაც ხელს უწყობს ინტერკულტურული ურთიერთგაგებისა და გლობალური მოქალაქეობის გრძნობის განვითარებას მის სტუდენტებში. როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სტუდენტებსათვის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შიდა საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციის სერვისებს. ეს მიდგომა უზრუნველყოფს იმას, რომ ყველა სტუდენტმა, მიუხედავად წარმომავლობისა, თავი იგრძნოს კომფორტულად და შეძლოს ეფექტურად მუშაობა საუნივერსიტეტო გარემოში. უნივერსიტეტი დიდ აქცენტს აკეთებს სტუდენტების ინფორმირებაზე სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ, რომლებიც შეესაბამება მათ სასწავლო და კვლევით მიზნებს. ინფორმაციის ეს პროაქტიული გაზიარება ეხმარება სტუდენტებს შესაძლებლობებით, რამაც შეიძლება გააძლიეროს მათი აკადემიური გამოცდილება და ხელი შეუწყოს მათ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას. სტუდენტთა ჯგუფთან გასაუბრებამ აშკარად აჩვენა მობილობის პროგრამებით მათი კმაყოფილება.

გლობალური სტუდენტური სამიზნე ჯგუფის მომსახურების მიზნით უნივერსიტეტი ორიენტირებულია ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავებაზე. შეიქმნა უცხოელი სტუდენტებისთვის დამხმარე, მათ შორის დოკუმენტების თარგმნისა და სავიზო პროცესებში დახმარების სერვისები. უნივერსიტეტი პოტენციურ საერთაშორისო სტუდენტებთან ურთიერთობის დამყარების მიზნით, ინარჩუნებს აქტიურ ადგილს სოციალური მედიის

პლატფორმებზე. გარდა ამისა, უნივერსიტეტი მონაწილეობს საერთაშორისო საგანმანათლებლო ფორუმებში, რათა აჩვენოს თავისი პროგრამები და მოიზიდოს მრავალფეროვანი სტუდენტი.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს ენერგიულ სტუდენტურ ცხოვრებას სხვადასხვა ინიციატივით, რომლებიც შექმნილია საუნივერსიტეტო გამოცდილების გასაუმჯობესებლად. უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა კლუბური სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტთა მრავალფეროვან ინტერესებს, ხელს უწყობს ჩართულობას საკლასო ოთახის მიღმა. სპეციალური კლუბები, როგორიცაა Alterbridge Business Laboratory და SDG Club, შეიქმნა მეწარმეობასა და მდგრად განვითარებაზე ორიენტირებით. უნივერსიტეტი რეგულარულად აწყობს გასართობ ღონისძიებებს და არაფორმალურ შეხვედრებს, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში მეგობრობის გრძნობის გაღვივებას. გარდა ამისა, სტუდენტები ჩართულნი არიან უნივერსიტეტის მარკეტინგულ კამპანიებში და საიმიჯო ვიდეოებში, რაც მათ აძლევს პრაქტიკულ გამოცდილებას და უღვივებს უნივერსიტეტის საჯარო იმიჯზე საკუთრების გრძნობას.

უნივერსიტეტში სტუდენტური ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტია სტუდენტური თვითმმართველობის არსებობა. ეს სტრუქტურა საშუალებას აძლევს სტუდენტებს ჰქონდეთ თავიანთი ხმა უნივერსიტეტის საქმეებში და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. სტუდენტური თვითმმართველობა არის სტუდენტური ორგანიზაციისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამაკავშირებელი ხიდი, რომელიც წარმოადგენს სტუდენტთა ინტერესებსა და პრობლემებს. ის გადამწყვეტ როლს თამაშობს სტუდენტური აქტივობების ორგანიზებაში, სტუდენტების უფლებების დაცვასა და უნივერსიტეტის პოლიტიკის შემუშავებაში, რომელიც გავლენას ახდენს სტუდენტურ ცხოვრებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული პირების (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტრუქტურული ერთეულები) დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები;
- დაგეგმილი და განხორციელებული საკონსულტაციო სერვისები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- პროგრამების კატალოგი;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის ანალიზი;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტი -სტუდენტური ცხოვრება 2024წ;
- სტუდენტების შეფასების ელექტრონული სისტემა ini.ge;
- ვებსაიტი <https://alterbridge.edu.ge/en/>;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რეკომენდაციები არ არის.

კლასტერის საერთო რჩევები:

სტუდენტების აკადემიურ და კვლევით საქმიანობაში ჩართულობის წასახალისებლად, სასურველია სტიპენდიის მოპოვების კრიტერიუმებში გათვალისწინებულ იქნას აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობა.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

შეფასება

კომპონენტი 3.1 - სტუდენტთა კონსულტირება და მათი მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)	x	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

უნივერსიტეტში შექმნილია აკადემიური პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიურ თანამდებობების დაკავებას კვალიფიციური პირების მიერ. ეს პროცესი რეგულირდება როგორც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ასევე უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტით - „აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის/დანიშვნის წესი“. ამ სახელმძღვანელო პრინციპების დაცვით, უნივერსიტეტი ინარჩუნებს შესაბამისობას საკანონმდებლო მოთხოვნებთან და ამავე დროს იცავს აკადემიური პერსონალის მაღალ სტანდარტებს.

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობის კუთხით, უნივერსიტეტმა გაატარა ღონისძიებები, რათა სტუდენტებს ჰყავდეთ უნარიანი და გამოცდილი ხელმძღვანელები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ ნაშრომის ხელმძღვანელები ფლობდნენ კვალიფიკაციებსა და გამოცდილებას, რომელიც შეესაბამება მათ პასუხისმგებლობებს, მათ შორის აკადემიური ნაშრომების ხელმძღვანელობის წინა გამოცდილებას. ეს მიდგომა ეხმარება ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტებისთვის მიწოდებული ხელმძღვანელობის ხარისხის უზრუნველყოფაში.

აცნობიერებს რა დაბალანსებული დატვირთვისა და პერსონალიზებული ყურადღების მნიშვნელობას, ალტერნატივის უნივერსიტეტმა შეიმუშავა ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების ოპტიმალური თანაფარდობის დადგენის მეთოდოლოგია. ეს მიდგომა ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორს, როგორცაა კვლევის თემების სირთულე, ხელმძღვანელების გამოცდილების დონე და თითოეული აკადემიური პროგრამის სპეციფიკური საჭიროებები. დაბალანსებული ხელმძღვანელობის პროცესის უზრუნველსაყოფად მეთოდოლოგია იძლევა ხუთამდე სტუდენტის ხელმძღვანელობის საშუალებას. ამ თანაფარდობის გულდასმით მართვით, თითოეული სტუდენტი იღებს ადეკვატურ ხელმძღვანელობასა და მხარდაჭერას მთელი აკადემიური პროცესის განმავლობაში, ამასთან ერთად ნარჩუნდება უნივერსიტეტის მდგრადი დატვირთვა. ამ მეთოდოლოგიის ეფექტურობა აშკარა იყო კურსდამთავრებულთა ჯგუფთან გასაუბრებაზე.

სამაგისტრო ნაშრომის პროცესის გასაადვილებლად უნივერსიტეტმა სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსთან ერთად შეიმუშავა „სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია“. სტუდენტები წინასწარ კარგად არიან ინფორმირებული ამ სახელმძღვანელოს შესახებ, რაც მათ აძლევს საკმარის დროს, რათა გაეცნონ მოთხოვნებსა და მოლოდინებს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი სტუდენტებს წარუდგენს პოტენციურ მიმართულებებს მათი კვლევისათვის და აცნობს მათ პოტენციურ ხელმძღვანელებს, რაც ეხმარება სტუდენტებს სადისერტაციო თემებისა და ხელმძღვანელების თაობაზე ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში. უნივერსიტეტმა შეიმუშავა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლებიც ნათლად ასახავენ

ხელმძღვანელების უფლებებსა და მოვალეობებს. ეს დოკუმენტები გადამწყვეტი გზამკვლევა ხელმძღვანელობის პროცესში ჩართული ყველა მხარისათვის, რაც უზრუნველყოფს სიცხადეს და თავიდან იცილებს პოტენციურ გაუგებრობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელების დანიშვნისა და შეცვლის, ასევე ხელმძღვანელობის პროცესის მართვის არსებული გამჭვირვალე პროცედურები, მყარ საფუძველს იძლევა პროდუქტიული აკადემიური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და კვლევითი პროექტების შეუფერხებლად წარმართვისათვის.

ნაშრომის ფორმირებაში უნივერსიტეტი დიდად აფასებს სტუდენტებსა და ხელმძღვანელებს შორის თანამშრომლობას. თითოეული სამაგისტრო ნაშრომის დასახელება განისაზღვრება ხელმძღვანელსა და სტუდენტს შორის ურთიერთშეთანხმებით. ეს თანამშრომლობითი პროცესი უზრუნველყოფს იმას, რომ დისერტაცია შეესაბამებოდეს როგორც სტუდენტის ინტერესებს, ასევე ხელმძღვანელის გამოცდილებას.

ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტების მხარდასაჭერად, უნივერსიტეტი სთავაზობს მათ რეგულარულ კონსულტაციებს ხელმძღვანელებთან. თავდაპირველი საკონსულტაციო სესიების დროს, ხელმძღვანელები მჭიდროდ თანამშრომლობენ სტუდენტებთან, რათა შეიმუშაონ მკაფიო კვლევის მიმართულებები და მეთოდოლოგიური ჩარჩოები. ეს სესიები ფოკუსირებულია სტუდენტის კვლევითი ინტერესების გააზრებაზე, ამასთანავე უნივერსიტეტის გამოცდილებასთან და რესურსებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. შემუშავების პროცესი ხაზს უსვამს კრიტიკულ აზროვნებასა და ანალიტიკურ უნარებს, ხელმძღვანელების გზამკვლევობით თეორიული ჩარჩოს აგებისა და ლიტერატურის მიმოხილვის სირთულეებში. სტუდენტები იღებენ ყოვლისმომცველ მხარდაჭერას მონაცემთა ანალიზსა და ინტერპრეტაციაში, რაც უზრუნველყოფს მათი კვლევის აკადემიური სიზუსტის უმაღლეს სტანდარტებს. ხელმძღვანელობის პროცესი ინარჩუნებს დელიკატურ ბალანსს მიმართულების მიწოდებასა და დამოუკიდებელი კვლევის შესაძლებლობების ხელშეწყობას შორის. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში ხელმისაწვდომია დამატებითი კონსულტაციები, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას მოითხოვონ ხელმძღვანელობა, გაერკვნენ ვარაუდებში და მიიღონ გამოხმაურება პროგრესზე. მხარდაჭერის ეს დონე ცხადყოფს უნივერსიტეტის ვალდებულებას სტუდენტების წარმატებისა და წარმოებული კვლევის ხარისხისადმი.

სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა უზრუნველყოფს პროფესიული განვითარებისა და კვლევის გავრცელების მნიშვნელოვან შესაძლებლობას. ხელმძღვანელები მჭიდროდ თანამშრომლობენ სტუდენტებთან შესაბამისი კონფერენციების იდენტიფიცირებისათვის, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. მომზადების პროცესი მოიცავს დეტალურ მითითებებს დამაჯერებელი პრეზენტაციების შესაქმნელად, ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განსავითარებლად და ქსელური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოსაყენებლად. სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით, „ალტერბრიჯი“ ყოველწლიურ ატარებს სამეცნიერო კონფერენციას. ეს კონფერენცია ემსახურება ფართო აუდიტორიის წინაშე როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე მომუშავე მეცნიერთა, აკადემიური პერსონალის, გამოცდილი და დამწყები მკვლევარების, მათ შორის დოქტორანტების/მაგისტრანტების სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის წარმოჩენას. ალტერბრიჯი მოუწოდებს თავის სტუდენტებს გამოაქვეყნონ სამეცნიერო ნაშრომები

სამეცნიერო ჟურნალებში. უნივერსიტეტმა დააარსა ელექტრონული, რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი - "თანამედროვე მეცნიერების გამოწვევები", რათა მკვლევარებს, სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს მიეცეს საშუალება წარუდგინონ თავიანთი სამეცნიერო საქმიანობა ფართო აუდიტორიას. „თანამედროვე მეცნიერების გამოწვევები“ აქვეყნებს როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევარების სტატიებს. ეს ხელს უწყობს კვლევის ინტერნაციონალიზაციას და მკვლევარებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარებას, ასევე ავლენს მათ კვლევით პოტენციალს. გარდა ამისა, სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სხვა წყაროების შესახებ თავიანთი სამეცნიერო ნაშრომების გამოსაქვეყნებლად და/ან სხვა სამეცნიერო საქმიანობაში ჩასართველად. უნივერსიტეტმა ცხადყო შესანიშნავი ძალისხმევა, რათა დახმარებოდა თავის სტუდენტებს, დაეკავშირებინა ისინი გლობალურ კვლევით თემებთან და ეცნობებინა მათთვის აქტიური სამეცნიერო საგრანტო კონკურსების შესახებ, ძირითადად, გამოყენებითი კვლევითი პროექტების მიმართულებით. მიუხედავად იმისა, რომ ძალისხმევა გამოიკვეთა გასაუბრებების დროს, უნივერსიტეტს სჭირდება სტრატეგიის შემდგომი დახვეწა, რათა წაახალისოს სტუდენტები აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სამეცნიერო ღონისძიებებში, განსაკუთრებით სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში. უნივერსიტეტმა შეიძლება გაითვალისწინოს მიზნობრივი ინიციატივების განხორციელება, რათა დაეხმაროს სტუდენტებს გრანტის დაწერისა და განაცხადის შედგენის პროცესში. ეს შეიძლება მოიცავდეს გრანტების წერის სტრუქტურირებულ სემინარებს და აკადემიურ კურიკულუმებში საგრანტო წინადადებების შემუშავების კომპონენტის შეტანას. გრანტის მიმღებთა საჯაროდ აღიარება და დაჯილდოვება ასევე შეიძლება გახდეს ძლიერი მოტივატორი სტუდენტებისათვის, რათა მისდიონ კონკურენტული დაფინანსების შესაძლებლობებს. გარდა ამისა, გარე ინდუსტრიასთან და კვლევით პარტნიორებთან თანამშრომლობის ხელშეწყობას შეუძლია სტუდენტებს მიაწოდოს კვლევითი გრანტების მოპოვებისა და განხორციელების ღირებული რეალური გამოცდილება.

უნივერსიტეტმა ასევე შეიმუშავა და დანერგა ხელმძღვანელების საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმები. შეფასების ეს პროცესები შექმნილია ისე, რომ იყოს ყოვლისმომცველი და სამართლიანი, სტუდენტების გამოხმაურების და სხვა პირდაპირი/ირიბი მეთოდების გათვალისწინებით, რომლებიც გამოიყენება საქმიანობის შესრულების გასაზომად. ხელმძღვანელობის პრაქტიკის ეფექტურობის რეგულარული შეფასებით, ადვილია გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირება და საჭირო ცვლილებების დროულად განხორციელება. ეს უწყვეტი შეფასების და გაუმჯობესების ციკლი (PDCA ციკლზე დაფუძნებული) ეხმარება აკადემიური მენტორობის უმაღლესი სტანდარტების შენარჩუნებას და მხარს უჭერს ხელმძღვანელობის პროცესების მუდმივ განვითარებას.

დაწესებულებას ჩამოაყალიბებული აქვს ყოვლისმომცველი ჩარჩო კვალიფიციური აკადემიური პერსონალის შერჩევისა და სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის მხარდაჭერისათვის. მკაფიო სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელებით, ხელმძღვანელების კვალიფიკაციის უზრუნველყოფითა და მუდმივი მხარდაჭერით, უნივერსიტეტი ქმნის ხელსაყრელ გარემოს აკადემიური სრულყოფისა და სტუდენტების მიღწევებისათვის.

მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები პროგრამა 2 - სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	8
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	31
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	1:4

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და მაგისტრატურის სილაბუსები;
- სამაგისტრო სწავლების დებულება;
- სამაგისტრო ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია;
- სამაგისტრო ნაშრომები;
- პერსონალის CV-ები;
- სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია და პერსონალის თანაფარდობის წესი;
- დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია - საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკა;
- ხელშეკრულების ფორმა - აკადემიური პერსონალი;
- ხელშეკრულების ფორმა - მოწვეული პერსონალი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობისათვის;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რეკომენდაციები არ არის.

კლასტერის ზოგადი რჩევები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რჩევები არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევები: სასურველია განხორციელდეს მიზნობრივი ინიციატივები მაგისტრანტების მხარდასაჭერად საგრანტო წინადადებების მომზადებისა და განაცხადების წარდგენის პროცესში. ეს შეიძლება მოიცავდეს სტრუქტურირებულ სემინარებს საგრანტო წინადადებების წერის შესახებ და პროგრამის კურიკულუმში საგრანტო წინადადებების შემუშავების კომპონენტის ჩართვას.

შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	☐	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)	☒	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)	☒	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, მაგისტრატურა)	☒	☐	☐	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული

მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტმა დანერგა აკადემიური პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის სისტემა, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და უნივერსიტეტის შინაგანაწესს სახელწოდებით "აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის/დანიშვნის წესი". ეს ორმაგი მიდგომა უზრუნველყოფს აკადემიურ თანამდებობებზე მხოლოდ კვალიფიციურ პირთა დანიშვნას, რაც იცავს როგორც იურიდიულ შესაბამისობას, ასევე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სრულყოფილების მაღალ სტანდარტებს. ადგილზე ვიზიტის დროს, ასევე აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების ანალიზის საფუძველზე, დასტურდება, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას. კლასტერში წარმოდგენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო საათობრივი დატვირთვა ახლდება ყოველ სემესტრში. დატვირთვა მოიცავს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვას, ასევე ითვალისწინებს დატვირთვას ყველა სხვა დაწესებულებაში, სადაც მათ აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა უკავიათ.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ლექტორები არიან სხვადასხვა მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ავტორები, თანაავტორები, რედაქტორები და მთარგმნელები; ისინი ასევე იღებენ მონაწილეობას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში.

კლასტერის ყველა სასწავლო პროგრამის შერჩეულ სტუდენტებთან გასაუბრების საშუალებით, ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ სტუდენტთა ჯგუფის მოსაზრებით ადამიანური რესურსი, მათ შორის დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალი,

სათანადოდაა ორგანიზებული სწავლების პროცესში შესაბამისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად.

საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები ავლენენ კურიკულუმების შემუშავებისათვის საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას. მათ კვალიფიკაციები უზრუნველყოფილია ბიზნესის ადმინისტრირების შესაბამისი ხარისხითა და ფართო პრაქტიკული გამოცდილებით.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა შედგენილია მაღალკვალიფიციური გუნდით, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებს ძლიერი საგანმანათლებლო გამოცდილების მიღებით. პროგრამას უძღვება აკადემიური პერსონალი, რომელსაც აქვს შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება. მათი კვალიფიკაცია მოიცავს არა მხოლოდ შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომებს, არამედ პრაქტიკულ გამოცდილებასაც, რაც ადასტურებს მათ კომპეტენტურობას ამ სფეროში.

პროგრამაში ასევე წარმოდგენილია მოწვეული ლექტორები და დარგის ექსპერტები, რომლებსაც პროგრამაში შეაქვთ ღირებული შეხედულებები და რეალური გამოცდილება. მათი კვალიფიკაცია დამოწმებულია მათი ცოდნითა და კომპეტენციით, რაც უზრუნველყოფს მათ ეფექტურ წვლილს სტუდენტთა სწავლის შედეგებში. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაში ჩართული მთელი პერსონალი ინიშნება ღია კონკურსის წესით.

როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალისათვის პროგრამა ახორციელებს სემესტრულად განახლებად დატვირთვის სქემას. ეს სქემა მოიცავს სწავლებას, კვლევას და სხვა პასუხისმგებლობებს, რომლებიც მორგებულია თითოეული პერსონალის კონკრეტულ ფუნქციებსა და მოვალეობებზე.

ეს ყოვლისმომცველი ჩარჩო უზრუნველყოფს პროგრამის სტუდენტებს იმით, რომ ისარგებლონ მდიდარი სასწავლო გარემოთი, რომელსაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი პროფესიონალები.

უსდ-ს გააჩნია „აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია“. აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით გაიზარდა თვითშეფასების ანგარიშში მითითებული აკადემიური (ასევე აფილირებული) პერსონალის რაოდენობა.

პროგრამა ინარჩუნებს პერსონალის ადეკვატურ რაოდენობას სტუდენტებთან მიმართებაში, რაც აუცილებელია ეფექტური სწავლებისა და მხარდაჭერისათვის. აქაა ძირითადი მონაცემები პერსონალთან დაკავშირებით:

პერსონალის შემადგენლობა - პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 25 ადამიანი. ესენია 18 აკადემიური პერსონალი და 7 მოწვეული სპეციალისტი (11 აფილირებული), რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლების მიმართ დაბალანსებულ მიდგომას.

აკადემიური გუნდი შედგება 3 პროფესორის, 6 ასოცირებული პროფესორისა და 9 ასისტენტ-პროფესორისაგან. როგორც ჩანს, რაოდენობრივ მონაცემებში არის შეუსაბამობა: პროგრამის განმახორციელებელთა სიაში მითითებულია 7 ასოცირებული და 8 ასისტენტ პროფესორი, რაც განსხვავდება საწყისი მონაცემისაგან.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი.

პროგრამა 1 (ზიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁴	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁵	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	18	18	11	11
- პროფესორი	3	3	3	2
- ასოცირებული პროფესორი	7	7	6	4
- ასისტენტ-პროფესორი	8	8	3	5
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	7	7	2	–
სამეცნიერო პერსონალი				–

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამას მხარს უჭერს აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების კვალიფიციური გუნდი, რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო გამოცდილებას. აკადემიურ პერსონალს აქვთ შესაბამისი აკადემიური კვალიფიკაცია და პრაქტიკული გამოცდილება, მათ შორის: სამეცნიერო

⁴ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁵ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

ნაშრომები, როგორცაა მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სტატიები რეცენზირებად ჟურნალებში და პრაქტიკული გამოცდილება, რაც ადასტურებს მათ კომპეტენციას სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროში.

ადგილზე ვიზიტის დროს ბევრმა გამოკითხულმა ხაზი გაუსვა პროგრამის გარემოს მნიშვნელობას და კვალიფიციური ლექტორების არსებობას, რომლებიც ამ სფეროს ლიდერებს წარმოადგენენ. აქ კვლავ აღვნიშნავთ, რომ მთელი პერსონალი ინიშნება ღია კონკურსის წესით. ასევე, პროგრამა უზრუნველყოფს სემესტრულად განახლებად დატვირთვის სქემას როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალისათვის.

პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია)

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი ⁶	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი ⁷	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	18	18	14	10
- პროფესორი	3	3	3	2
- ასოცირებული პროფესორი	10	10	6	6
- ასისტენტ-პროფესორი	5	5	5	2
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	11	11	3	–
სამეცნიერო პერსონალი				–

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა რაოდენობის ადეკვატურია. ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის განხორციელებაში სულ ჩართულია 30 ადამიანი, აქედან 19 აკადემიური პერსონალია (10 აფილირებული), 11 მოწვეული სპეციალისტი. პერსონალისა

⁶ ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

⁷ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

და სტუდენტების თანაფარდობა და სამიზნე ნიშნულები აღწერილია დოკუმენტში „აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის/დანიშვნის წესი;
- სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია
- საკონსულტაციო მომსახურებაში ჩართული პირების (აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტრუქტურული ერთეულები) დატვირთვა, ფუნქციები და მოვალეობები, მათი სამუშაო აღწერილობები;
- დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტი - უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგია;
- სტუდენტების შეფასების ელექტრონული სისტემა ini.ge;
- ვებსაიტი <https://alterbridge.edu.ge/en/>;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რეკომენდაციები არ არის.

კლასტერის ზოგადი რჩევები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რჩევები არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

შეფასება

კომპონენტი 4.1 ადამიანური რესურსები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)	x	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელსაც აქვს შესაბამისი სამეცნიერო კვლევა ან პრაქტიკული გამოცდილება სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროში. ეს უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ხელმძღვანელობის მიღებას იმ პირებისაგან, რომლებსაც აქვთ საჭირო გამოცდილება მათი კვლევის ეფექტური მხარდაჭერისათვის. გარდა ამისა, თუ სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ სხვა ინდივიდი უკეთესად მოერგება მათ კონკრეტულ თემას, მათ აქვთ შესაძლებლობა შესთავაზონ ხელმძღვანელის ალტერნატიული კანდიდატურა. უნივერსიტეტის რეგულაციები უზრუნველყოფს ნაშრომის ხელმძღვანელად კვალიფიციური კადრების დანიშვნას აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის, სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისა და შეფასების დადგენილი წესებით.

ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელობის შესახებ გადაწყვეტილებას განიხილავს ჯერ სკოლის საბჭო, შემდეგ კი დეკანის რეკომენდაციით ამტკიცებს რექტორი. ადგილზე ვიზიტის დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ სტუდენტებს ეძლევათ არსებული სადისერტაციო თემების სია, საიდანაც მათ შეუძლიათ აირჩიონ სასურველი. მათ ასევე აქვთ შესაძლებლობა მოარგონ თემა თავიანთი ინტერესებს, რაც მათ მისცემს უფრო პერსონალიზებული და შესაბამისი კვლევით გამოცდილების საშუალებას. გარდა ამისა, სტუდენტებს აქვთ წვდომა რეგულარულ და დამატებით კონსულტაციებზე თავიანთ ხელმძღვანელებთან.

კვალიფიკაცია კარგად არის შეხამებული მაგისტრატურის სტუდენტების საგნებთან. ისინი მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო კონფერენციებში, ხელმძღვანელობენ და ახორციელებენ სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტს. ადგილზე ვიზიტის დროს, მაგისტრანტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოთქვეს მოწონება პლაგიატის საწინააღმდეგო შემოწმების შესახებ.

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის შეფასება სტუდენტისათვის რჩება კონფიდენციალური რეცენზიის წარდგენამდე. რეცენზენტი ერთი კვირის განმავლობაში ამოწმებს წარმოდგენილ ნაშრომს და შედეგებს უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებისას ხდება რეცენზენტის შეფასების გათვალისწინება. ნაშრომის დაცვის გამოცდილების გასაუმჯობესებლად, სასურველია სტუდენტებმა შემფასებლის მიერ მომზადებული ანგარიში მიიღონ სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირების შემდეგ. ეს ანგარიში უზრუნველყოფს ღირებულ შეხედულებებსა და გამოხმაურებას, რაც სტუდენტებს მისცემს დაცვისთვის უკეთ მოემზადების საშუალებას. შემფასებლის კომენტარების განხილვით, სტუდენტებს შეუძლიათ დაადგინონ თავიანთი ნაშრომის ძლიერი მხარეები და გასაუმჯობესებელი სფეროები, რაც მათ საშუალებას მისცემს ეფექტურად გადაჭრან ნებისმიერი პრობლემა.

პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები ⁸	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	8	7	6
- პროფესორი	2	2	2
- ასოცირებული პროფესორი	6	5	4
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი	-		-
სამეცნიერო პერსონალი	-		-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის ინსტრუქციები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევის/დანიშვნის წესი;
- სამუშაო აღწერილობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

⁸ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე ნაშრომების ხელმძღვანელები

- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რეკომენდაციები არ არის.

კლასტერის ზოგადი რჩევები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რჩევები არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაციები: რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომის დაცვისთვის სათანადოდ მომზადების მიზნით, სტუდენტებმა მიიღონ რეცენზენტის დასკვნა მათი ნაშრომის შეფასების შესახებ.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

შეფასება

კომპონენტი 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	☐	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)	☐	x	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.

➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა ყოვლისმომცველი ჩარჩო საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. განსაკუთრებით საყურადღებოა აქცენტი როგორც ქართველ, ისე უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობაზე, რადგან ამას შეუძლია სხვადასხვა პერსპექტივისა და საუკეთესო პრაქტიკის მოტანა.

ციკლი "დაგეგმე - გააკეთე - შეამოწმე - იმოქმედე" ასახავს უწყვეტი გაუმჯობესების ვალდებულებას, რაც უზრუნველყოფს სწავლებისა და სწავლის რეგულარულად შეფასებას და დახვეწას. ეს სისტემატური მიდგომა გადამწყვეტია მაღალი აკადემიური სტანდარტების შესანარჩუნებლად და ეფექტური სასწავლო გარემოს შესაქმნელად.

უნივერსიტეტში შეფასების პროცესი ორიენტირებულია როგორც აკადემიური პერსონალის სამეცნიერო, ასევე პედაგოგიურ განვითარებაზე. სამეცნიერო მხარდაჭერის კუთხით უსდ მასპინძლობს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს და აქვეყნებს სამეცნიერო ჟურნალს. საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივ პროექტებზე თანამშრომლობამ ასევე შეიძლება გააუმჯობესოს კვლევის ხარისხი და გააფართოოს აკადემიური კვლევის სფერო. პედაგოგიური განვითარების კუთხით, მიმდინარეობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სასწავლო პროცესზე პირდაპირი დაკვირვება საკლასო/ონლაინ გაკვეთილებისას. ადგილზე ვიზიტის დროს აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნა კოლეგიური შეფასების პრაქტიკაც.

უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი ძლიერი მხარეა რეგულარული სემინარების მოწყობის პრაქტიკა, რომელსაც ორგანიზებას უწევენ და სრულად აფინანსებენ „ინოვაციური განათლების ცენტრი“ და „ალტბრიჯის სასწავლო ცენტრი“. ინფორმაცია დაგეგმილი სემინარებისა და ღონისძიებების (ასევე იმართება რეგულარულად - მოწვეულნი არიან სხვადასხვა მომხსენებლები) შესახებ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. უნივერსიტეტში დანერგილია დაწინაურებისა და წახალისების სისტემა, რაც ფიქსირდება პერსონალის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტში. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ყოველწლიურად ატარებს პერსონალის კმაყოფილების გამოკითხვას, რაც მათ საშუალებას აძლევს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები სხვადასხვა საკითხზე.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის მეშვეობით შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის სისტემის ჩამოყალიბება მნიშვნელოვანი ნაბიჯია მძლავრი კვლევითი გარემოს შესაქმნელად, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ კვლევითი საქმიანობის (კვლევაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები, კვლევის შეფასების ინდიკატორები) ხელშეწყობას, არამედ საგრანტო პროექტებში მონაწილეობის პირობებს, კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წყაროებს, საუნივერსიტეტო კვლევის საინფორმაციო უზრუნველყოფას, აკადემიური პატიოსნებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას.

უნივერსიტეტში კვლევითი ცენტრის ფუნქციონირება დანერგილი პრაქტიკაა და ორიენტირებულია კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობასა და ფონდების მოზიდვაზე. კვლევით საქმიანობას კოორდინაციას უწევს კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია საუნივერსიტეტო სამეცნიერო ღონისძიებების მაღალ ხარისხზე, კვლევითი ცენტრის შემდგომ განვითარებასა და სამეცნიერო ჟურნალების გამოცემის ხელშეწყობაზე. გასაუბრებებიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ კვლევითი ცენტრი დადებითად იქნა მიღებული აფილირებული პერსონალის მიერ, შეიძლება ადგილი ჰქონდეს კავშირის წყვეტას, როდესაც საქმე ეხება კვლევით საქმიანობაში სტუდენტთა ჩართულობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის მუშაობის შეფასების და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების (სწავლების, კვალიფიკაციის ამაღლების კურსების) დოკუმენტაცია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები (სწავლება, მივლინებები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, კონფერენციები, გაცვლა, საერთაშორისო ან/და ადგილობრივი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიული ან/და სწავლების უნარების განვითარებას);
- კვლევითი აქტივობის კონცეფცია;
- მოზიდვისა და ინკლუზიის სტრატეგია;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა.

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რეკომენდაციები არ არის.

კლასტერის ზოგადი რჩევები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რჩევები არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

შეფასება

კომპონენტი 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)	x	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამები უზრუნველყოფილია თანამედროვე აღჭურვილობითა და ინვენტარით, ბიბლიოთეკით, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახებით, კომპიუტერული ცენტრით, კაფეტერიით და სხვა, რაც რაოდენობრივად და ხარისხობრივად აკმაყოფილებს პროგრამების მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ეს რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტების, ასევე პერსონალისათვის. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან მათი გამოყენებისა და მასთან დაკავშირებული წესების შესახებ. ადგილზე ვიზიტის დროს ზოგიერთმა სტუდენტმა ხაზი გაუსვა უნივერსიტეტის თანამედროვე და მიმზიდველ გარემოს, განსაკუთრებით ჯგუფური მუშაობისა და საჯარო ლექციების/სემინარებისთვის განკუთვნილ სივრცეებს.

ხელსაყრელი სასწავლო გარემოზე აქცენტმა შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს მათი საგანმანათლებლო გამოცდილება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

უნივერსიტეტი იყენებს სასწავლო ელექტრონულ პლატფორმას ini.ge, სადაც სასწავლო კურსების მიხედვით იტვირთება სასწავლო მასალები, სრულდება და სწორდება ყოველკვირეულ დავალებები.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში განთავსებულია სილაბუსით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა საგანმანათლებლო მასალები (მათ შორის, ელექტრონულ მედიაზე ხელმისაწვდომი), რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ბიბლიოთეკას აქვს წვდომა საერთაშორისო საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად აკონტროლებს სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებულ საბაზისო ლიტერატურის ხელმისაწვდომობას ბიბლიოთეკაში. ადგილზე ვიზიტის დროს მოვითხოვეთ შემთხვევით შერჩეული მასალების შემოწმება ბიბლიოთეკის კატალოგში და ისინი აღმოჩნდა ხელმისაწვდომი.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

საბაკალავრო პროგრამაში აღწერილი ყველა რესურსი ასევე გამოიყენება სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამაზე. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის სასწავლო ელექტრონულ პლატფორმას და ბიბლიოთეკის რესურსებს არ გააჩნია წვდომა თანამედროვე სამეცნიერო ელექტრონულ ჟურნალებზე, როგორიცაა Elsevier, Scopus და ScienceDirect. ამან შეიძლება მნიშვნელოვნად შეზღუდოს როგორც სტუდენტების, ასევე პროფესორების კვლევის შესაძლებლობები და წვდომა უახლეს ცოდნაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობისა და წიგნადი ფონდის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ საბაზისო ლიტერატურასთან;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- წვდომა საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებზე.

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რეკომენდაციები არ არის.

კლასტერის ზოგადი რჩევები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რჩევები არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევები: სასურველია უსდ-მ უზრუნველყოს წვდომა ისეთ ელექტრონულ ბაზებზე, როგორიცაა Elsevier, Scopus და ScienceDirect, ვინაიდან საბიბლიოთეკო რესურსებში შეზღუდულია წვდომა თანამედროვე სამეცნიერო ელექტრონულ ჟურნალებთან. ეს მნიშვნელოვნად გაზრდის როგორც სტუდენტების, ასევე აკადემიური პერსონალის კვლევით შესაძლებლობებსა და წვდომას თანამედროვე ცოდნაზე.

შეფასება

კომპონენტი 4.4 მატერიალური რესურსები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)	x	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ორივე, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი გამოიყოფა სწავლის საფასურიდან. სტუდენტების პროგნოზირებული ზრდა და სტაბილური ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სასწავლო პროგრამების საიმედო განხორციელებასა და მიწოდებას.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი არა მხოლოდ მიღწევადია, არამედ კარგად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. ბიუჯეტი მოიცავს როგორც მიმდინარე, ისე ერთჯერად ფინანსურ ასიგნებებს, რომლებიც ითვალისწინებს პროგრამის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო ძირითად კომპონენტებს.

საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტი გამოიყოფა სწავლის საფასურიდან. დაგეგმილი შემოსავლები თანდათან იზრდება 2023 წლის 137 500 ლარიდან 2027 წლისათვის 978 120 ლარამდე. ქართველი სტუდენტები ყოველწლიურად იხდიან 5900 ლარს, უცხოელი სტუდენტები კი 4000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. მოსალოდნელია, რომ სტუდენტების რაოდენობა 2023-2024 სასწავლო წელს 15-დან გაიზრდება 112-მდე 2026-2027 წლებისთვის.

გასაუბრებებიდან გამომდინარე, პროგრამისათვის საერთაშორისო სტუდენტების მნიშვნელოვანი რაოდენობის უზრუნველსაყოფად ორ კონტრაქტს მოეწერა ხელი: ერთ-ერთი მათგანია ნურანის კოლეჯი დუბაიში (ამ კონტრაქტით მოსალოდნელია 100-მდე სტუდენტის მოზიდვა, 86 უკვე დადასტურებული სტუდენტით). როგორც ჩანს, ეს შეთანხმება არის უცხოელი სტუდენტების ძირითადი წყარო. მეორე ხელშეკრულება უკავშირდება სააგენტოს "ისწავლე საქართველოში" (Study in Georgia), რომელმაც 8 სტუდენტი მოიზიდა და რომლებიც ამჟამად სავიზო პროცესს გადიან. მათგან 4 სტუდენტი უკვე სწავლობს უნივერსიტეტში.

ეს პარტნიორობა აჩვენებს ძალისხმევას პროგრამის საერთაშორისო იმიჯისა და ჩარიცხვის გასაძლიერებლად და ფოკუსირებულია საგანმანათლებლო სააგენტოებთან და დაწესებულებებთან თანამშრომლობაზე. ამ კონტრაქტების მეშვეობით სტუდენტების მოზიდვით, პროგრამა ცდილობს გაზარდოს ფინანსური სტაბილურობა და სტუდენტური კონტინგენტის მრავალფეროვნება.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტის (ალტერბრიჯი) სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამას აქვს სტრუქტურირებული ბიუჯეტი, რომელიც ორიენტირებულია პროგრამის ფინანსური სტაბილურობისა და მდგრადობის უზრუნველყოფაზე.

სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი გამოიყოფა სწავლის საფასურიდან. 2023-2024 წლებში დაგეგმილი შემოსავალი შეადგენს 193 200 ლარს. 2025-2026 და 2026-2027 წლების პერიოდისათვის იგი 218 500 ლარამდე გაიზრდება.

სწავლის საფასურია ყოველწლიურად 4600 ლარი. 2023-2024 წლებში სტუდენტების საერთო რაოდენობა - 42 იყო, 2026-2027 წლებში კი 48 სტუდენტამდე გაიზრდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რეკომენდაციები არ არის.

კლასტერის ზოგადი რჩევები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რჩევები არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

შეფასება

კომპონენტი 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკო- ლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	x	□	□	□

პროგრამა 2 (სტრატეგიული
კომუნიკაცია, სამაგისტრო
პროგრამა)

x

☐

☐

☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)	x	☐	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალი თანამშრომლობდა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან და ითვალისწინებდა ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს. პროგრამის შემუშავების პროცესში უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან ერთად ჩართული იყვნენ სხვა დაინტერესებული მხარეებიც, როგორიცაა პოტენციური დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და მონათესავე პროგრამების სტუდენტები.

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამების შესამუშავებლად შეიქმნა თვითშეფასების ჯგუფი, რომელიც რეგულარულად ატარებდა შეხვედრებს და განიხილავდა პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს. პროგრამები შემუშავდა გუნდური მუშაობის პრინციპების დაცვით. თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრაზე იზრუნა თვითშეფასების ჯგუფის თითოეულმა წევრმა. სამუშაო პროცესში

განხორციელდა პროგრამების შიდა შეფასება, პროგრამების შეფასება აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ, ასევე გარე შეფასება დამსაქმებლებისა და უნივერსიტეტის პარტნიორი ორგანიზაციის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულ იქნა გამომხატველები შიდა და გარე შეფასებებიდან.

უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“ (PDCA) ციკლის პრინციპების საფუძველზე. ხარისხის უზრუნველყოფა უწყვეტი პროცესია და მასში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები (<https://alterbridge.edu.ge/samoqmedo-gegmebi/>), ასევე განიხილავს ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის წლიურ ანგარიშებს.

ზოგადად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ეწევა აკადემიური პერსონალის კონსულტირებას, რათა საგანმანათლებლო საქმიანობა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. უნდა აღინიშნოს, რომ ადგილზე ვიზიტის დროს გასაუბრებისას ზოგიერთი აკადემიური და მოწვეული პერსონალი სრულად არ იყო ინფორმირებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების თაობაზე. ადგილზე ვიზიტის დროს ზოგიერთმა აკადემიურმა პერსონალმა არ დაადასტურა, რომ მათი სამეცნიერო აქტივობა ფასდება რეგულარულად. მათ ვერ განმარტეს, რა არის მინიმალური სამეცნიერო მოთხოვნები, თუ ასეთი მოთხოვნები საერთოდ არსებობს. ზოგიერთი აკადემიური პერსონალი ნაკლებად არის ჩართული პროგრამის შემუშავებაში, მათი მონაწილეობა პროგრამის შემუშავებაში არ აისახა პასუხებში გასაუბრებისას. მათ ვერ უპასუხეს, რა არის პროგრამების სამიზნე ნიშნულები, როგორია მათი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის შეფასების მექანიზმები, როგორ არის დაკავშირებული მათი სასწავლო კურსები პროგრამის სწავლის შედეგებთან და ა.შ. ეს ფაქტები აჩვენებს, რომ ხარისხის შეფასების მექანიზმები არ არის მაღალეფექტური და საჭიროა ხარისხის კულტურის გაძლიერება.

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი მჭიდროდ არ თანამშრომლობს პერსონალის ყველა სეგმენტთან, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებისა და ხარისხის კულტურის შესახებ ინტენსიური კონსულტაციებისა და ტრენინგების უზრუნველყოფით.

ელექტრონული/დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგისა და შეფასებისთვის, კორონავირუსის პანდემიის პერიოდში უნივერსიტეტმა მიიღო სასწავლო პროცესის სპეციალური რეგულაციები (რექტორის ბრძანება №1-01/21; 20/09/2020) შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დისტანციური/ჰიბრიდული შესწავლის პროცესთან ადაპტაციის უზრუნველსაყოფად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი <https://alterbridge.edu.ge/wp-content/uploads/2020/10/Quality-Assurance-Mechanisms-min.pdf>
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება

- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების მექანიზმები
 - საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების პროცედურები
 - სასწავლო პროცესის წესები და რეგულაციები
 - შრომის ბაზრის ანალიზი
 - საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანალიზი
 - აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზი
 - საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება კურსდამთავრებულთა მიერ
 - აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
 - სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია
 - პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები
 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასება
 - რექტორის ბრძანება თვითშეფასების ჯგუფის შექმნაზე
 - თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრების ოქმები
 - დისტანციური/ელექტრონული სწავლის პროცესის რეგულაციები
 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ანალოგიურ ადგილობრივ და უცხოურ საგანმანათლებლო პროგრამებთან შედარების/ბენჩმარკინგის დოკუმენტი.
 - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიში
 - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ლექცია-სემინარებზე დაკვირვების
- 2023-2024 წწ. შედეგები
- 2023-2024 წლის შემოდგომის სემესტრის აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები
 - 2023 წლის კვლევითი საქმიანობის ანგარიში
 - 2023-2024 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრის მონიტორინგის ანალიზი
 - გასაუბრებები ადგილზე ვიზიტისას
 - უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მჭიდროდ ითანამშრომლოს პერსონალის ყველა რგოლთან, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და ხარისხის კულტურის შესახებ ინტენსიური კონსულტაციებისა და ტრენინგების ჩატარების გზით.

კლასტერის საერთო რჩევები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რჩევები არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

შეფასება

კომპონენტი 5.1 შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	☐	x	☐	☐
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)	☐	x	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საგანმანათლებლო პროცესის ხარისხის შეფასების გარე მექანიზმებია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესახებ დებულებას“.

დადგენილი ვადებისა და ფორმების შესაბამისად უნივერსიტეტი თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციას პერიოდულად წარუდგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს თვითშეფასების ანგარიშის სახით. პროგრამებში ჩართული პერსონალი ითვალისწინებს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დროს ექსპერტების მიერ მიღებულ რეკომენდაციებს და

შეაქვს პროგრამაში შესაბამისი ცვლილებები. პროგრამებში განსახორციელებელ ცვლილებებს განიხილავენ პროგრამის ხელმძღვანელები და პროგრამაში ჩართული პერსონალი.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (180 ECTS) არის ახალი. იგი შეაფასა უცხოელმა გარე ექსპერტმა (ადიზესის (აშშ) სამაგისტრო სკოლის დეკანმა, ISM მენეჯმენტისა და ეკონომიკის უნივერსიტეტის (ლიეტუა) ასოცირებულმა პროფესორმა, ბალტიის მენეჯმენტის განვითარების ასოციაციის (BMDA) პრეზიდენტმა). გარდა ამისა, მხედველობაში იქნა მიღებული აკრედიტაციის ექსპერტების შეფასების შედეგები და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებები ანალოგიური ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის (240 ECTS) წინა აკრედიტაციის პროცესიდან. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამა მოყვანილ იქნა შესაბამისობაში ბიზნესის ადმინისტრირების ეროვნული დარგობრივი მახასიათებლების დოკუმენტთან.

სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა აკრედიტირებულია 2020 წელს (აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება 758830-01/09/2020). პროგრამის გუნდმა გაითვალისწინა წინა აკრედიტაციისა და შემდგომი მონიტორინგის პროცესში მიღებული ყველა რეკომენდაცია.

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის პერიოდული გარე შეფასება ხორციელდება კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების ჩართულობით. მხედველობაში იქნა მიღებული დარგის პროფესიონალების, პარტნიორების და სხვა დაინტერესებული მხარეების, როგორცაა კურსდამთავრებულები, გამოკითხვის შედეგები. მხედველობაში იქნა მიღებული დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზის შედეგებიც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების პროცედურები
- შრომის ბაზრის ანალიზი
- საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანალიზი
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზი
- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება კურსდამთავრებულთა მიერ
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასება
- გასაუბრებები ვიზიტის დროს.
- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რეკომენდაციები არ არის.

კლასტერის ზოგადი რჩევები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რჩევები არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

რეკომენდაცია/ები: ამ სტანდარტთან დაკავშირებით რეკომენდაციები არ არის.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

.....

შეფასება

კომპონენტი 5.2 გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	x	☐	☐	☐
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)	x	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი პერიოდულად მონიტორინგს უწევს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ხარისხს. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები, რჩევები შესაძლო ცვლილებების თაობაზე და მზადდება დასკვნები საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისათვის. აღნიშნული პროცესის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი რეგულარულად ამოწმებს ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს (მათ შორის სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის ფიზიკურ მდგომარეობას, რაოდენობასა და სილაბუსებთან შესაბამისობას).

ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ატარებს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის და დამსაქმებლების გამოკითხვებს, რათა მიიღოს გამოხმაურება ყველა დაინტერესებული მხარისაგან და უზრუნველყოს სასწავლო პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების განხორციელების სათანადო ხარისხი. იგი ასევე აანალიზებს საკლასო ოთახში დაკვირვების შედეგებს. გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და ინსტრუქციებს სწავლების ხარისხის ამაღლებისა და პროგრამების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად. იგი ასევე აანალიზებს დარგის სპეციალისტების მოსაზრებებს და რეკომენდაციებს და ადარებს არსებულ პროგრამებს უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამას (დეტალები მაგისტრატურისათვის იხილეთ ქვემოთ).

უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტების კმაყოფილების გამოკითხვებს, გამოკითხვებს ძირითადი (სავალდებულო) სასწავლო კურსების შესაფასებლად ყოველი სემესტრის ბოლოს (ამ კუთხით ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისთვის დეტალები იხილეთ ქვემოთ), პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასებას. ამასთან, უნივერსიტეტმა წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ლექცია-სემინარებზე დაკვირვების შედეგების 2023-2024 წლის ანგარიში, 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის აკადემიური მოსწრების მონიტორინგის, პერსონალის კვლევითი საქმიანობის 2023 წლის, 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მონიტორინგის შედეგები.

ასეთი კომპლექსური ინდიკატორების ანალიზის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი აფასებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ეფექტურობას და სთავაზობს პროგრამის პერსონალს რეკომენდაციებსა და რჩევებს საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარებისათვის.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)

იხილეთ კლასტერის შეფასება 5.3-ში. ამასთან, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში პრობლემურია ცალკეულ კურსებზე შეფასების სისტემა, მაგალითად, საბოლოო შეფასება „პროექტის მენეჯმენტში“: სილაბუსის მიხედვით და ადგილზე გასაუბრების დროს გაირკვა, რომ სტუდენტებმა უნდა წარმოადგინონ ჯგუფური პროექტი. სილაბუსში არ წერია და ბუნდოვანია სილაბუსის ავტორის (პროგრამის ხელმძღვანელის) პასუხიც, თუ როგორ განისაზღვრება სტუდენტის ინდივიდუალური წვლილი, ასევე როგორ ენიჭება შეფასებისთვის განკუთვნილი 40 ქულა. ასევე პრობლემურია სწავლის შედეგების შეფასების

რუკა - მე-2 შედეგისათვის რუკაზე არ არის მითითებული მესამე დონის სასწავლო კურსი, რომლის მეშვეობითაც ხდება ამ კონკრეტული შედეგის შეფასება.

პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა უნდა უზრუნველყოს სასწავლო კურსების შეფასების რუბრიკების დეტალური მითითება და ასევე აჩვენოს, თუ როგორ ფასდება სტუდენტის ინდივიდუალური წვლილი ჯგუფური პროექტის შემთხვევაში(მაგ. სასწავლო კურსი „პროექტის მენეჯმენტი“). გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა პროგრამის პერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და შეფასების ანგარიშების შემუშავება უნივერსიტეტში არსებული მეთოდოლოგიის მიხედვით.

ღწერა და ანალიზი - პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)

იხილეთ სტანდარტ 5.3-ის კლასტერული შეფასება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის ე.წ. „ბენჩმარკინგის“ დოკუმენტი არ იყო შემუშავებული პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისა და ასევე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ.

უნივერსიტეტის მიერ წარდგენილ მასალებზე და ადგილზე ვიზიტისას გასაუბრებებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ იპოვა მტკიცებულება იმისა, რომ უნივერსიტეტი ატარებს მაგისტრანტთა გამოკითხვას, სადაც მათ შეუძლიათ ანონიმურად შეაფასონ პროგრამის კვლევითი კომპონენტების განხორციელება და თავიანთი სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელები. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტების კმაყოფილების გამოკითხვებს, გამოკითხვებს ყოველი სემესტრის ბოლოს ძირითადი (სავალდებულო) სასწავლო კურსების, პერსონალის სასწავლო და კვლევით საქმიანობის შესაფასებლად, ასეთი გამოკითხვები არ შეიცავს კითხვებს, რომლითაც რესპონდენტები მიიღებენ უკუკავშირს პროგრამის კვლევითი კომპონენტის განხორციელებაზე. უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს მაგისტრანტების მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი <https://alterbridge.edu.ge/wp-content/uploads/2020/10/Quality-Assurance-Mechanisms-min.pdf>
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დებულება
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასების მექანიზმები
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების პროცედურები
- სასწავლო პროცესის წესები და რეგულაციები
- შრომის ბაზრის ანალიზი
- საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების ანალიზი
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების დამსაქმებლების მიერ პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება კურსდამთავრებულთა მიერ
 - აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
 - სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია
 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია
 - პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები
 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასება
 - რექტორის ბრძანება თვითშეფასების ჯგუფის შექმნაზე
 - თვითშეფასების ჯგუფის შეხვედრების ოქმები
 - დისტანციური/ელექტრონული სწავლის პროცესის რეგულაციები
 - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ანალოგიურ ადგილობრივ და უცხოურ საგანმანათლებლო პროგრამებთან შედარების/ბენჩმარკინგის დოკუმენტი.
 - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ყოველწლიური ანგარიში
 - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ლექცია-სემინარებზე დაკვირვების
- 2023-2024 წწ. შედეგები
- 2023-2024 წლის შემოდგომის სემესტრის აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები
 - 2023 წლის კვლევითი საქმიანობის ანგარიში
 - 2023-2024 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრის მონიტორინგის ანალიზი
 - გასაუბრებები ვიზიტის დროს.
 - უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რეკომენდაციები არ არის.

კლასტერის ზოგადი რჩევები:

ამ სტანდარტთან დაკავშირებით ზოგადი რჩევები არ არის.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში):

პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი)

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს სასწავლო კურსების შეფასების რუბრიკების დეტალურად გაწერა, ასევე მიუთითოს, თუ როგორ ფასდება სტუდენტის ინდივიდუალური წვლილი ჯგუფური პროექტის შემთხვევაში.

რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის პერსონალთან მჭიდრო თანამშრომლობით უზრუნველყოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკისა და შეფასების ანგარიშების შემუშავება უნივერსიტეტში არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, მაგისტრატურა)

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამისთვის შემუშავდეს უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან შედარების/ზენჩმარკინგის დოკუმენტი, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების მიზნით.

რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იქნას მაგისტრანტების მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის შეფასება.

რჩევა(ები): ამ სტანდარტთან დაკავშირებით რჩევები არ არის.

შეფასება

კომპონენტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)	☐	☒	☐	☐

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება, საფეხურები:

ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა

სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

შინაარსი სტანდარტი	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა	3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
პროგრამა 1 (ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (სტრატეგიული კომუნიკაცია, სამაგისტრო პროგრამა)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ხელმოწერები

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
არმანდ ფაგანელი,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ია ნაცვლიშვილი, ხელმოწერა

ნათია დადელიშვილი, ხელმოწერა

შორენა ჟურდაძე, ხელმოწერა

ალექსანდრე კალანდაძე, ხელმოწერა